186/2
1987

ISSN—0132—4241

46
186/2

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1

იანვარი—თებერვალი

1987 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18619

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 — იანვარი—თებერვალი — 1987 წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები


1. აკადემიკოს ა. გ. შანიძისათვის შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის მინიჭების შესახებ.
2. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 26 ნოემბრის № 662 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
3. საქართველოს სახალხო მოხმარების ახალი და უკმარი საქონლის წარმოებაში დანერგვის რესპუბლიკური დარგთაშორისი ცენტრის „საქცენტრმრეწვდანერგვის“ რეორგანიზაციის შესახებ.


### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება


4. „სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშაკთა ხელფასის ორგანიზაციის სრულყოფის და ახალი სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების შემოღების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილების რეალიზაციისათვის რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოების ამოცანების თაობაზე.


კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები**

5. ვენახის სეტყვასაწინააღმდეგო გადახურვის სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს „საქვენახდაცვის“ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ.
6. „დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის შეღავათების მიცემის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 8 იანვრის № 24 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე
7. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სასწავლო საწარმოების საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ.

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 1 აკადემიკოს ა. გ. შანიძისათვის შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის მინიჭების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წინადადება იმის შესახებ, რომ მიენიჭოს საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია აკაკი გაბრიელის ძე **შანიძეს** — რუსთველოლოგიის დარგში გაწეული უთვალსაჩინოესი ღვაწლისათვის, პოემა „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერული ტექსტის დადგენისათვის.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**ჯ. პატიაშვილი** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**ო. ჩერქეზია** |

*ქ. თბილისი, 1987 წ. 26 თებერვალი, № 70*

## 2 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 26 ნოემბრის № 662 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების საწარმოებში ადგილობრივ მძღოლთა კადრების დამკვიდრების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. „ქალაქ თბილისის სატრანსპორტო მეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სამგზავრო ტრანსპორტის საწარმოებში კადრების დამკვიდრების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 26 ნოემბრის № 662 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად:

დაემატოს 1-ლ პუნქტს შემდეგი შინაარსის ქვეპუნქტი:

„ — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების საწარმოებში სამუშაოდ ადგილობრივი მძღოლთა კადრების მიზიდვისა და დამკვიდრების მიზნით დაუდოს ხელშეკრულებანი ქალაქ თბილისში მუდმივად მცხოვრებ მძღოლებს (ავტობუსის, ტროლეიბუსისა და ტრამვაისა) ასეთი პირობებით:

— შეიძინონ ამორტიზებული ავტომობილი გაზ-24-ტაქსი, რომელიც გამოუსადეგარია შემდგომი ექსპლუატაციისათვის როგორც ტაქსი, 4 წლის მუშაობის შემდეგ, ამასთან ნება დართოს თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებას მოახდინოს მათი რეალიზაცია.

— შევიდნენ ქალაქ თბილისში საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებად, როგორც გამონაკლისი, 3 წლის მუშაობის შემდეგ პირები, რომლებიც იმყოფებიან საბინაო პირობების გაუმჯობესების აღრიცხვაზე;

— მიიღონ ბინები, როგორც გამონაკლისი, 4 წლის მუშაობის შემდეგ პირებმა, რომლებიც იმყოფებიან აღრიცხვაზე ქალაქ თბილისის რაიაღმასკომებში".

2. დაემატოს მე-6 პუნქტს შემდეგი შინაარსის ქვეპუნქტი:

„ — გამოუყოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მეთორმეტე ხუთწლედში კოოპერაციული საბინაო მშენებლობისათვის კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტები წილობრივი მონაწილეობის წესით თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომისათვის გადასაცემად".

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 26 ნოემბრის № 662 დადგენილების მე-2 პუნქტის მეორე აბზაცი შრომითი ხელშეკრულებების მიხედვით საქალაქო ტრანსპორტის (ავტობუსი, ტრამვაი, ტროლეიბუსი) მძღოლთა სხვაქალაქელი კადრების შეგროვების ნაწილში.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ჯ. პატიაშვილი**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**ო. ჩერქეზია**

ქ. თბილისი, 1987 წ. 24 თებერვალი, № 96

## 3 საქართველოს სახალხო მოხმარების ახალი და უკმარი საქონლის წარმოებაში დანერგვის რესპუბლიკური დარგთაშორისი ცენტრის „საქცენტრმრეწვდანერგვის" რეორგანიზაციის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. გადაეცეს საქართველოს სახალხო მოხმარების ახალი და უკმარი საქონლის წარმოებაში დანერგვის რესპუბლიკური დარგთაშორისი ცენტრი „საქცენტრმრეწვდანერგვა" საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს გამგებლობიდან სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს გამგებლობაში სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს ახალი საქონლის წარმოებაში დანერგვის საერთო-საკავშირო გაერთიანება „სოიუზპრომვნედრენიეს" საქართველოს რესპუბლიკური ფილიალის სახით (სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს 1987 წლის 21 იანვრის № ნრ175/509 დასტური).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეუსაბამონ აღნიშნული ფილიალის სტრუქტურა და საშტატო განრიგი განხორციელებულ ფუნქციონალურ ცვლილებებს.

დაეკისროს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს საერთო-საკავშირო გაერთიანება „სოიუზპრომვნედრენიეს“ საქართველოს რესპუბლიკურ ფილიალს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სამუშაო ორგანოს ფუნქციები ახალი სამომხმარებლო თვისებების მქონე სახალხო მოხმარების პერსპექტიული საქონლის გამოშვებაზე მისი გავლენის ნაწილში და დაწესდეს, რომ სამეურნეო საქმიანობის შეფასების ძირითადი მაჩვენებელია დადგენილი წესით სამრეწველო საწარმოების მიერ ასათვისებლად მიღებული ნიმუშების რაოდენობა.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ ორი კვირის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს საერთო-საკავშირო გაერთიანება „სოიუზპრომვნედრენიეს“ საქართველოს რესპუბლიკური ფილიალის საექსპერტო საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ.

3 საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმის ფორმირებისას და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ განაცხადების შედგენისას გაითვალისწინონ სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს საერთო-საკავშირო გაერთიანება „სოიუზპრომვნედრენიეს“ საქართველოს რესპუბლიკური ფილიალის გადაწყვეტილებანი სახალხო მოხმარების ახალი და უკმარი საქონლის წარმოების შესახებ.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 13 დეკემბრის №835 დადგენილება „სახალხო მოხმარების ახალი და უკმარი არასასურსათო საქონლის წარმოების განვითარებისათვის მუშაობის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 14 დეკემბრის № 836 დადგენილება „საქართველოს სახალხო მოხმარების ახალი და უკმარი საქონლის წარმოებაში დანერგვის დარგთაშორისი ცენტრის „საქცენტრმრეწვდანერგვის“ დროებითი დებულების, აგრეთვე ამ ცენტრთან არსებული რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭოს დროებითი დებულებისა და მაღაზია-სალონ „სიახლის“ დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ჯ. პატიაშვილი**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**ო. ჩერქეზია**

ქ. თბილისი, 1987 წ. 24 თებერვალი, № 97

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

### 4 „სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშაკთა ხელფასის ორგანიზაციის სრულყოფის და ახალი სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების შემოღების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილების რეალიზაციისათვის რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოების ამოცანების თაობაზე

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აღნიშნავენ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1986 წლის 17 სექტემბრის № 1115 დადგენილება „სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშაკთა ხელფასის ორგანიზაციის სრულყოფის და ახალი სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების შემოღების შესახებ“ მიზნად ისახავს სკკპ XXVII ყრილობის მითითებათა პრაქტიკული რეალიზაციის უზრუნველყოფას შრომის ანაზღაურების სრულყოფის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების დარგში.

განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა აღნიშნული დადგენილების შესრულების ორგანიზაციას, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, პროფკავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა თავიანთ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნიონ განუხრელი შესრულება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1986 წლის 17 სექტემბრის № 1115 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშაკთა ხელფასის ორგანიზაციის სრულყოფის და ახალი სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების შემოღების შესახებ“. ამ მიზნით:

— გაშალონ ორგანიზატორული მუშაობა შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადასასვლელად საწარმო-ორგანიზაციების მომზადებისათვის, შრომითი კოლექტივების მიერ წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად შინასაწარმოო რეზერვების და ახალი სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების შემოსაღებად საჭირო სახსრების გამონახვისათვის;

— განახორციელონ კოლექტივებში ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა იმისათვის, რათა გააცნონ თითოეულ მუშაკს შრომის ანაზღაურების სისტემის კარდინალური გარდაქმნის შინაარსი და მნიშვნელობა, უზრუნველყონ კადრების სწავლება წარმოების ყველა დონეზე;

— შეუნელებელი კონტროლი გაუწიონ საწარმო-ორგანიზაციათა მუშაობას იმისათვის, რათა მოემზადონ და გადავიდნენ ახალ სატარიფო განაკვეთებსა და თანამდებობრივ სარგოებზე, მოისმინონ სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანოების ხელმძღვანელთა ანგარიშები ამ მუშაობის შედეგების შესახებ.

2. ხელფასის ორგანიზაციის სრულყოფისა და შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღების ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროთ პირადად მინისტრებს, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებათა, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს.

3. ახალი სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების შემოღებისათვის მთელი მუშაობის კოორდინაციისა და ორგანიზებულად განხორციელების მიზნით შეიქმნას სამინისტროებში, უწყებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში კომისიები მათი პირველი ხელმძღვანელების მეთაურობით.

4. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა:

— გაუწიონ გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს ყოველმხრივი დახმარება მოსამზადებელ სამუშაოთა განხორციელებაში, დროულად უზრუნველყონ ისინი შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღებისათვის საჭირო ყველა ნორმატიული დოკუმენტით;

— შეიტანონ კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო პროგრამებში ხელფასის ორგანიზაციის სრულყოფის და ახალი სატარიფო განაკვეთებისა და სარგოების შემოღების საკითხთა შესწავლა, შრომის ნაყოფიერების ზრდის შინასაწარმოო რეზერვების გამონახვისათვის მუშაობის მოწინავე ფორმებისა და მეთოდების სწავლება;

— დააწესონ კონტროლი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ხელფასის ფონდის გადახარჯვის თავიდან აცილებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ისეთი ტემპის მიღწევის მიზნით, რომელიც უსწრებს საშუალო ხელფასის ზრდის ტემპს.

5. რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ:

— საგულდაგულო და სერიოზული მომზადება შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადასასვლელად, ამ მუშაობაში ყველა ქვედანაყოფისა და სამსახურის, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური და ტექნიკური სამსახურების, აგრეთვე საამქროებისა და უბნების უფროსების, ოსტატების, წარმოების მოწინავეთა, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა;

— შრომის ნორმირების სრულყოფისათვის, სამუშაოთა დატარიფიკაციისა და კადრების ატესტაციისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა საჯაროობა და ა. შ.

6. სამინისტროებმა და უწყებებმა, გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, ადგილობრივმა პროფკავშირულმა ორგანოებმა, შრომის ორგანოებმა უზრუნველყონ:

— შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღებასთან დაკავშირებით განთავისუფლებულ მუშაკთა შრომითი მოწყობა, ამასთან გამოიჩინონ მათ მიმართ მაქსიმალური ყურადღება და ზრუნვა;

— განთავისუფლებულ მუშაკთა გამოყენება, უწინარეს ყოვლისა, თვით საწარმოებში წარმოების მოცულობის გასადიდებლად, მეორე და მესამე ცვლების დასაკომპლექტებლად, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური კვლავაღჭურვის განსახორციელებლდ, აგრეთვე ასამოქმედებელი ობიექტებისა და საწარმოო სიმძლავრეების კადრებით დასაკომპლექტებლად, ამასთან ფართოდ გამოიყენონ ამ მიზნით კადრების ხელახალი სწავლება და კვალიფიკაციის შეცვლა.

7. მნიშვნელოვანი რაოდენობის მუშაკთა მომავალ განთავისუფლებასთან და ამის შედეგად შრომითი მოწყობის სამუშაოთა მოცულობის მკვეთრ გადიდებასთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— განამტკიცონ შრომითი მოწყობის სამსახურები კვალიფიციური კადრებით, არსებითად გააუმჯობესონ მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

— საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად წარმოუდგინონ 1987 წლის I კვარტალში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმ ქალაქებსა და დაბებში მოსახლეობის შრომითი მოწყობის სამეურნეოანგარიშიანი ბიუროების შექმნის შესახებ, სადაც ისინი ჯერ კიდევ არ არის შექმნილი.

8. გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა უზრუნველყონ. რომ წარუდგინონ დადგენილი წესით შრომითი მოწყობის ორგანოებს დროული და სრული ინფორმაცია თავისუფალი სამუშაო ადგილებისა და ვაკანტური თანამდებობების არსებობის, აგრეთვე გასათავისუფლებელ მუშაკთა პერსონალური შემადგენლობის შესახებ.

საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა დააწესონ მკაცრი კონტროლი თავიანთი საქმიანობის ზონაში აღნიშნული სამუშაოს განხორციელებისადმი.

9. იმ მიზნით, რომ რესპუბლკაში წარმატებით განხორციელდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1986 წლის 17 სექტემბრის № 1115 დადგენილებით გათვალისწინებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ღონისძიებანი მიზანშეწონილად ჩაითვალოს რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს შექმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისა და მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე საწარმოთა გადაყვანის საკოორდინაციო საბჭომ სისტემატურად მოისმინოს მინისტრთა, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელთა ანგარიშები შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღებისათვის მუშაობის მიმდინარეობისა და მისი განხორციელების შედეგების შესახებ.

10. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ:

— სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა საკავშირო პროფსაბჭოსთან, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად ჩაატარა სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგებში ხელფასის სისტემის გარდაქმნის პრობლემებზე რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომლის მასალებს საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი უახლოეს ხანში დაუგზავნის რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს;

— შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღებისათვის მუშაობის ორგანიზაციაში საწარმოებისა და უწყებების, გაერთიანებებისა და საწარმოებისათვის მეთოდიკური დახმარების გაწევის მიზნით საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტთან შეიქმნა და ფუნქციონირებს საკონსულტაციო პუნქტი, რომლის შემადგენლობაში შედიან საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, რესპუბლიკის ცალკეულ სამინისტროთა, უწყებათა და საწარმოთა სპეციალისტები;

— შრომის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ერთიანი სისტემის შექმნის მიზნით საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტთან შეიქმნა სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის შრომისა და სოციალურ საკითხთა სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი საკავშირო ინსტიტუტის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, რაც შესაძლებლობას მისცემს სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს უზრუნველყონ შრომისა და ხელფასის საკითხებით დასაქმებულ მუშაკთა სპეციალური სწავლება.

11. დამტკიცდეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით ხელფასის ორგანიზაციის სრულყოფისა და შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღებისათვის საბაზო გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა თანდართული ნუსხა.

12. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საინფორმაციო სააგენტომ ფართოდ გააშუქონ რესპუბლიკაში მიმდინარე მუშაობა სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგებში შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოსაღებად.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობამ და საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყონ ქართულ ენაზე თარგმნა და საჭირო ტირაჟით გამოცემა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1986 წლის 17 სექტემბრის № 1115 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშაკთა ხელფასის ორგანიზაციის სრულყოფის და ახალი სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების შემოღების შესახებ“,

14. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ სისტემატური კონტროლი გაუწიონ ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობას და ნახევარი წლისა და წლის შედეგების შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
**ჯ. პატიაშვილი**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე
**ო. ჩერქეზია**

საქართველოს
პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს
თავმჯდომარე
**ვ. სირაძე**

ქ. თბილისი, 1987 წ., 13 იანვარი, № 24

## სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 1115

**1986 წლის 17 სექტემბერი**

### სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშაკთა ხელფასის ორგანიზაციის სრულყოფის და ახალი სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების შემოღების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო აღნიშნავენ, რომ სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, სოციალური სამართლიანობის განმტკიცების ამოცანების რეალიზაცია მოითხოვს მატერიალური სტიმულირების მქონე სისტემის არსებითად გაუმჯობესებას, ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ჯეროვანი წესრიგის დამყარებას.

მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაში, სოფლის მეურნეობაში მაღალნაყოფიერი შრომის სტიმულირების, მაღალი შრომითი მიღწევებით ინდივიდუალური და კოლექტიური დაინტერესების პროგრესული ფორმების გამოყენების გარკვეული დადებითი გამოცდილება დაგროვდა.

მაგრამ სახალხო მეურნეობის ბევრ დარგში მოქმედი ხელფასის სისტემა არ შეესაბამება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მეურნეობის გაძღოლის ინტენსიურ მეთოდებზე გადასვლის, პროდუქციის ხარისხის ამაღლების მოთხოვნებს და წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის თანამედროვე დონეს. არასაკმარისია რთულ და პასუხსაგებ სამუშაოთა შესრულების წახალისება, გაუმართლებლად შემცირდა მუშათა და სპეციალისტთა შრომის ანაზღაურების სხვაობა მათი კვალიფიკაციისა და მუშაობის ეფექტიანობის შესაბამისად. მნიშვნელოვნად გავრცელდა სხვადასხვაგვარი გამოუმუშავებელი ფულის გაცემა და წამატებანი. შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სისტემა სუსტად ასტიმულებს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას.

გამოყენებული სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები არსებითად მოძველდა. ტარიფის წილი მუშათა ხელფასში მთელ რიგ დარგებში 50 პროცენტზე ნაკლებს შეადგენს. პრემიამ, დანამატმა და სართმა ბევრად დაკარგეს მასტიმულებელი როლი. კვლავ დიდი ნაკლოვანებებია შრომის ნორმირებაში, მუშაობა მისი გაუმჯობესებისათვის ძალზე ნელა მიმდინარეობს და საჭირო ეკონომიკურ შედეგებს არ იძლევა. კადრების მიზიდვა და დამკვიდრება წარმოებაში ხშირად შრომის ანაზღაურების გადიდების და დაუ-

საბუთებელი შეღავათებისა და უპირატესობების მიცემის გზით ხელფასი რეგულირებულია მრავალი ნორმატიული აქტით, ინსტრუქციითა და დებულებით, რომლებიც ერთმანეთთან სუსტადაა დაკავშირებული და ბოჭავს საწარმოთა ინიციატივასა და დამოუკიდებლობას. არასაკმარისია შრომითი კოლექტივების როლი შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების საკითხთა გადაწყვეტაში.

ყოველივე ეს იწვევს შრომის შედეგებით მუშათა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა დაინტერესების შემცირებას, გათანაბრების ფართოდ გავრცელებას, ხელფასისათვის სახსრების არარაციონალურ ხარჯვას, შრომის ნაყოფიერებისა და საშუალო ხელფასის ზრდის ტემპებს შორის დაწესებული თანაფარდობის დარღვევას, რაც საბოლოო ანგარიშით აფერხებს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

სამინისტროები და უწყებები, პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოები, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ხშირად ურიგდებიან ასეთ მდგომარეობას, პრინციპულ შეფასებას არ აძლევენ ნეგატიურ მოვლენებს, შეასუსტეს კონტროლი ხელფასის ორგანიზაციისადმი, საკმარისად არ ზრუნავენ შრომის სტიმულირების მოწინავე გამოცდილების გავრცელებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, პროფკავშირულმა ორგანოებმა, გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ხელფასის სრულყოფა მიიჩნიონ ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარებისათვის პარტიის მიერ დასახული ამოცანის შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბერკეტად, ახალი სამეურნეო მექანიზმის, სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების ორგანულ ნაწილად.

განახორციელონ ღონისძიებანი ხელფასის ორგანიზაციის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისათვის, ამასთან უზრუნველყონ მისი პირდაპირი კავშირი შრომის შედეგებთან, აღმოფხვრან გათანაბრება ყველა ფორმითა და გამოვლინებით, გახადონ შრომის ანაზღაურების სისტემა თითოეული მუშაკისათვის მისაწვდომი და გასაგებად ნათელი. განახორციელონ ეს მუშაობა მშრომელთა უშუალო მონაწილეობით, უფრო სრულად გამოიყენონ შრომის ანაზღაურებისა და ნორმირების დარგში შრომითი კოლექტივებისათვის მინიჭებული ფართო უფლებები.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გაშალონ ორგანიზატორული და პოლიტი-

კურ-აღმზრდელობითი მუშაობა პრინციპულად ახალ საფუძველზე შრომის მატერიალური და მორალური სტიმულირების მთელი სისტემის ეფექტიანობის ამაღლებისათვის. ამ მიზნით შრომითი კოლექტივების ძირითადი ღონისძიებანი მოახმარონ შინასაწარმოო რეზერვების მობილიზაციას ხელფასის ზრდისა და სრულყოფის საჭირო რესურსების შესაქმნელად, სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშაკთა ახალი სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების შემოსაღებად. უზრუნველყონ სისტემატური და ქმედითი კონტროლი მეთორმეტე ხუთწლედის ამ უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიების შესრულებისადმი.

### ხელფასის ორგანიზაციის სრულყოფის ძირითადი პრინციპები

2. სამინისტროებმა, უწყებებმა, გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ხელფასის მთელი სისტემის გაუმჯობესებისას უზრუნველყონ:

შრომის რაოდენობასა და ხარისხზე, საბოლოო საწარმოო შედეგებზე ხელფასის ზუსტი დამოკიდებულების თანამიმდევრული და საყოველთაო დაწესებისათვის საჭირო პირობების შექმნა, შრომის ზომისა და მოხმარების ზომისადმი კონტროლის გაძლიერება;

მეურნეობის გაძღოლის, მართვის სრულყოფის, სამეურნეო ანგარიშის გაღრმავების და სტაბილური ეკონომიკური ნორმატივების ფართოდ დანერგვის საფუძველზე თვითდაფინანსების პრინციპებზე გადასვლის ახალ პირობებში ეფექტიანი შრომის სტიმულირებით გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა უფლებების გაფართოება და პასუხისმგებლობის ამაღლება;

მორალური და მატერიალური სტიმულირების სისტემის ორიენტაცია პროდუქციისა და შესასრულებელ სამუშაოთა ხარისხის ძირეულ ამაღლებაზე, ამასთან მხედველობაში იქონიონ უმაღლესი მსოფლიო დონის მიღწევა. ხარისხი მუშაკთა პროფესიული მომზადების შეფასების მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს;

ხელფასის ზრდა და სრულყოფა შრომითი კოლექტივების მიერ გამომუშავებული სახსრების ფარგლებში წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, მუშაკთა შრომის ანაზღაურებისათვის განკუთვნილი ფონდების რაციონალური გამოყენების ხარჯზე;

გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა დამოუკიდებლობის გაფართოება ხელფასის ფონდის ხარჯვასა და ნაკლები რაოდენობის პერსონალით სამუშაოთა შესრულების სტიმულირებაში;

შრომითი კოლექტივების როლის ამაღლება მატერიალური და მორალური სტიმულების ეფექტიანი სისტემის ორგანიზაციაში. კოლექტივების მიერ გამომუშავებული სახსრები უნდა დარჩეს მათ განკარგულებაში და გამოყენებულ იქნეს მუშაკთა მატერიალური წახალისებისათვის მუშაობის საერთო შედეგებში თითოეული მათგანის შრომითი წვლილის შესაბამისად;

არსებული რეზერვების მობილიზაციით, მოწინავე გამოცდილების დანერგვით, კეთილსინდისიერი, კვალიფიციური და მაღალნაყოფიერი შრომით მუშათა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა დაინტერესების გაძლიერება; მუშაობაში ხარვეზებისათვის, შრომისა და საწარმოო დისციპლინის დარღვევებისათვის მუშაკთა პასუხისმგებლობის ამაღლება.

ხელფასის ორგანიზაციის სრულყოფა განახორციელონ სატარიფო სისტემის გარდაქმნის, შრომის ნორმირების ხარისხის ამაღლების, შრომის ანაზღაურებისა და პრემირების პროგრესული ფორმების დანერგვის, კონკრეტულ შრომით მიღწევებთან სართისა და დანამატის კავშირის გაძლიერების საფუძველზე. დასახული ღონისძიებანი ორგანულად დაუკავშირონ მეურნეობის გაძღოლისა და მართვის ახალი მეთოდების, შრომისა და წარმოების მოწინავე ორგანიზაციის დანერგვას.

3. შემოღებულ იქნეს მეთორმეტე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშაკთა ახალი გადიდებული სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები წარმოებული პროდუქციისათვის ან შესრულებულ სამუშაოთა მოცულობისათვის დამტკიცებული სტაბილური ნორმატივებისა და მაჩვენებლების მიხედვით შექმნილი ხელფასის ფონდის ფარგლებში.

ახალი განაკვეთებისა და სარგოების შემოღებისას გაუმჯობესდეს შრომის ანაზღაურების თანაფარდობა დარგების, მშრომელთა კატეგორიებისა და პროფესიული ჯგუფების მიხედვით შესასრულებელ სამუშაოთა სირთულისა და პირობების გათვალისწინებით. გადიდდეს ტარიფების წილი მუშაკთა საშუალო თვიურ ხელფასში 70-75 პროცენტამდე. უზრუნველყოფილ იქნეს უპირატესობა ახალი, მაღალმწარმოებლური ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავებით, დამზადებითა და მომსახურებით უშუალოდ დასაქმებულ მუშათა და სპეციალისტთა შრომის ანაზღაურებაში.

დამტკიცდეს საწარმოო დარგების მუშაკთა შრომის ანაზღაურების პირობები, სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები, № 1-31 დანართების თანახმად[1].

4. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ 1987 წელს საყოველთაო გადასვლა სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგებში ხელფასის ფონდის შექმნის ნორმატიულ მეთოდებზე. განამტკიცონ ამის საფუძველზე შრომის ანაზღაურების სახსრების ოდენობის უშუალო კავშირი მუშაობის საბოლოო შედეგებთან.

დაუგზავნონ მეთორმეტე ხუთწლედის სტაბილური ნორმატივები სამინისტროებსა და უწყებებს, ხოლო სამინისტროებმა და უწყებებმა — საქვეუწყებო გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით დიფერენცირებული.

---

1. დანართები არ მოიყვანება.

გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგახიზაციებმა ფართოდ გამოიყენონ სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის ხელფასის სახსრების დაგეგმვის ნორმატიული მეთოდი, განსაკუთრებით შინასაწარმოო სამეურნეო ანგარიშის დანერგვისა და მუშაობის საიჯარო პრინციპზე გადასვლის დროს.

ხუთწლიანი გეგმით შესაბამისი წლისათვის დაწესებული ხელფასის ფონდის შექმნის ნორმატივები არ უნდა შეიცვალოს.

5. გაფართოვდეს ნაკლები რაოდენობის პერსონალით სამუშაოთა მზარდი მოცულობის შესრულების სტიმულირების შესაძლებლობანი. უფლება მიეცეთ საწარმოო დარგების გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს პროფკავშირულ კომიტეტებთან შეთანხმებით შემოიღონ მუშაკებისათვის სართი პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსებისათვის, მომსახურების ნორმების გაფართოებისათვის ან შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობის გადიდებისათვის შესათავსებელ პროფესიათა (თანამდებობათა) ნუსხებისა და სართის ოდენობის შეუზღუდავად განთავისუფლებულ მუშაკთა სატარიფო განაკვეთების (თანამდებობრივი სარგოების) მიხედვით დაზოგილი ხელფასის ფონდის ხარჯზე და ფარგლებში.

## მუშათა ხელფასის სრულყოფა

6. განხორციელდეს ღონისძიებათა კომპლექსი მუშათა ხელფასის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ:

გადიდდეს მუშათა სატარიფო განაკვეთები საშუალოდ 20-25 პროცენტით;

გაძლიერდეს მუშათა დაინტერესება კვალიფიკაციის ამაღლებით, რთულ და პასუხსაგებ სამუშაოთა შესრულებით უფრო მაღალ სატარიფო თანრიგებზე გადასვლისას სატარიფო განაკვეთების ოდენობის პროგრესული ზრდის საფუძველზე. დასაბუთებულად შეფასდეს შრომის პირობები და შესასრულებელ სამუშაოთა ინტენსიურობა;

უზრუნველყოფილ იქნეს უპირატესობანი განსაკუთრებით რთულ და უნიკალურ მოწყობილობაზე, მოქნილ ავტომატიზებულ წარმოებებში დასაქმებულ მუშათა, იმ აგრეგატების, მანქანების, მექანიზმებისა და სატრანსპორტო საშუალებების მომსახურე მუშათა შრომის ანაზღაურებაში, რომლებიც საშუალებას იძლევიან მკვეთრად ამაღლდეს შრომის ნაყოფიერება, ძირეულად გაუმჯობესდეს გამოსაშვები პროდუქციისა და შესასრულებელ სამუშაოთა ხარისხი, დაიზოგოს სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსები;

უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა დარგში თანაბარი სირთულის სამუშაოების შემსრულებელ ერთნაირი პროფესიების მუშათა შრომის ანაზღაურების ერთიანობა. დაწესდეს ყველა საწარმოო დარგში შრომის ანაზღაურების გამჭოლი პირობები სარკინიგზო და ავტოსატრანსპორტო საამქროებში, სარემონტო, დასატვირთ-გადმოსატვირთ და მთელ რიგ სხვა სამუშაოებზე დასაქმებული მუშებისათვის.

დაევალოთ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს განახორციელონ პროფკავშირულ კომიტეტებთან შეთანხმებით ახალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების შემოღებასთან ერთად სამუშაოთა და მუშათა ხელახალი ტარიფიკაცია, დააწესონ საკვალიფიკაციო თანრიგები სამუშაოთა და სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მუშების პროფესიათა ერთიანი სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარის მოთხოვნების შესაბამისად.

7. შრომის პირობების შეფასებაში გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა დამოუკიდებლობის გაფართოების მიზნით უფლება მიეცეთ მათს ხელმძღვანელებს პროფკავშირულ კომიტეტებთან შეთანხმებით შემოიღონ საწარმოო გაერთიანება „ავტოვაზის“ გამოცდილების გათვალისწინებით მუშებისათვის დიფერენცირებული (საფეხურების მიხედვით) სართი სატარიფო განაკვეთის (სარგოს) 12 პროცენტამდე ოდენობით შრომის მძიმე და მავნე პირობებიან სამუშაოებზე და სატარიფო განაკვეთის (სარგოს) 24 პროცენტამდე შრომის განსაკუთრებით მძიმე და განსაკუთრებით მავნე პირობებიან სამუშაოებზე. დააწესონ სამუშაო ადგილების ატესტაციის შედეგების მიხედვით და დარიცხონ სართი ასეთ სამუშაო ადგილებზე მუშის ფაქტიური დასაქმების დროისათვის. სამუშაო ადგილების შემდგომი რაციონალიზაციისა და შრომის პირობების გაუმჯობესების კვალობაზე შეამცირონ ან მთლიანად გააუქმონ სართი.

კონკრეტული სამუშაოების, სამუშაო ადგილების ნუსხა და შრომის არახელსაყრელი პირობებისათვის სართის ოდენობა შეტანილ იქნეს გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტიურ ხელშეკრულებებში შრომის პირობების გაუმჯობესების ღონისძიებებთან ერთად.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად დაამტკიცოს შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების და პროფკავშირული ორგანოების წარდგენით შრომის მძიმე და მავნე და განსაკუთრებით მძიმე და განსაკუთრებით მავნე პირობებთან სამუშაოთა ტიპობრივი ნუსხები, ხოლო სამინისტროებმა და უწყებებმა მათ საფუძველზე — პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებთან შეთანხმებული დარგობრივი ნუსხები.

უფლება მიეცეთ მანქანათმშენებლობისა და მსუბუქი მრეწველობის გაერთიანებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს პროფკავშირულ კომიტეტებთან შეთანხმებით დაუწესონ კონვეიერებზე, ნაკადურ და ავტომატურ ხაზებზე დასაქმებულ მუშებს დიფერენცირებული (საფეხურების მიხედვით) სართი შრომის ინტენსიურობისათვის სატარიფო განაკვეთის 12 პროცენტამდე ოდენობით.

შრომის პირობებისა და ინტენსიურობისათვის სართის საერთო თანხა სატარიფო განაკვეთის 24 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. აღნიშნული სართი შეტანილ იქნეს სატარიფო განაკვეთებში შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ანგარიშგებისას.

8. მუშათა პროფესიული ოსტატობის ამაღლების სტიმულირებისა და გამოსაშვები პროდუქციის (სამუშაოთა) ხარისხისა და საწარმოო დავალებათა

პარლამენტის ბიბლიოთეკა

შესრულებისათვის მათი მატერიალური დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით უფლება მიეცეთ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს პროფკავშირულ კომიტეტებთან შეთანხმებით:

ა) შემოიღონ პროფესიული ოსტატობისათვის სატარიფო განაკვეთების დიფერენცირებული დანამატები III თანრიგის მუშებისათვის შესაბამისი სატარიფო განაკვეთის 12 პროცენტამდე, IV თანრიგისა — 16 პროცენტამდე, V თანრიგისა — 20 პროცენტამდე, VI და უფრო მაღალი თანრიგებისა — 24 პროცენტამდე. დანამატები დაუწესდებათ მუშებს, რომლებიც სტაბილურად უზრუნველყოფენ გამოსაშვები პროდუქციისა და შესასრულებელ სამუშაოთა მაღალ ხარისხს, აითვისებენ ახალ პროფესიებსა და მომიჯნავე ფუნქციებს, და გაიცემა დაზოგილი ხელფასის ფონდის ხარჯზე.

არ გაიცეს აღნიშნული დანამატები იმ თვისათვის, რომელშიც გამოვლინდა წუნის ან პროდუქციის ხარისხის გაუარესების შემთხვევები. უხარისხო პროდუქციის გამოშვების, საგეგმო (ნორმირებულ) დავალებათა, შრომითი დანახარჯების დაწესებული ნორმების შეუსრულებლობისას დანამატები პროფესიული ოსტატობისათვის მთლიანად გაუქმდეს;

ბ) შეუმცირონ საკვალიფიკაციო თანრიგები (კლასები და კატეგორიები) მუშებს ტექნოლოგიური დისციპლინის უხეში დარღვევისა და სხვა სერიოზული დარღვევებისათვის, რამაც გამოიწვია მათ მიერ დამზადებული პროდუქციის ან შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუარესება, აგრეთვე აღუდგინონ ისინი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 12 მაისის № 540 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.

9. საჭიროდ ჩაითვალოს განხორციელდეს ხელფასის სრულყოფისა და ამავე დროს შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებანი. უზრუნველყოფილ იქნეს მუშათა და სპეციალისტთა მასობრივი მონაწილეობა წარმოების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვების გამოვლენასა და მობილიზაციაში, საწარმოო სიმძლავრეთა და შრომითი რესურსების უკეთ გამოყენებაში სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციისათვის დნეპროპეტროვსკის ოლქის გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა გამოცდილების საფუძველზე. არსებითად გაუმჯობესდეს შრომის ნორმირება, როგორც განაკვეთებისა და სარგოების გადიდებისათვის სახსრების გამონახვის ერთ-ერთი ძირითადი წყარო. ჩაითვალოს ეს სამუშაო შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოსაღებად გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მზადყოფნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვან კრიტერიუმად.

გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა პროფკავშირულ კომიტეტებთან ერთად:

სატარიფო განაკვეთებისა და სარგოების გადიდებისას ყველგან შეცვალონ მოქმედი ნორმები პროგრესული ნორმებით. ახალი ნორმები განსაზღვრონ, როგორც წესი, შრომითი დანახარჯების დარგთაშორისი და დარგობრივი ნორმატივების ან ერთიანი და ტიპობრივი ნორმების საფუძველზე;

კ. მარქსის
სახ. ბიბლიოთ.

მიიღონ ზომები წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის, პროდუქციის და შესასრულებელ სამუშაოთა გამოშვების რიტმულობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, შექმნან თითოეულ სამუშაო ადგილზე მაღალნაყოფიერი შრომისათვის, პროგრესული ნორმების წარმატებით შესრულებისათვის საჭირო პირობები;

განახორციელონ შრომის ნორმირების სრულყოფა ტექნიკური, ეკონომიკური და სოციოლოგიური სამსახურების ფართოდ მიზიდვით და შრომითი კოლექტივების უშუალო მონაწილეობით.

გაძლიერდეს სამინისტროთა და უწყებათა პასუხისმგებლობა დარგში შრომის ნორმირების მდგომარეობისათვის, ამაღლდეს მათი მაორგანიზებელი როლი პროგრესული ნორმების დანერგვაში, უზრუნველყოფილ იქნეს შრომის ნორმატიულ-კვლევით სამუშაოთა გაფართოება და მათი ხარისხის გაუმჯობესება, ნორმირების სამსახურების განმტკიცება, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და ნორმირების ხაზით მოწინავე გამოცდილების გავრცელების დაჩქარება. დააწესონ სისტემატური კონტროლი საქვეუწყებო გაერთიანებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომის ნორმირების მდგომარეობისადმი.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახშენმა საკავშირო პროფსაბჭოსთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შესაბამისი პროფკავშირული ორგანოების მონაწილეობით უზრუნველყონ 1986-1987 წლებში შრომის დარგთაშორისი და დარგობრივი ნორმატივების შემუშავება და გადასინჯვა ტექნიკის, ტექნოლოგიის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფის გათვალისწინებით.

10. შრომის ნორმირების დონის სისტემატური ამაღლებისათვის საჭირო პირობების შექმნის მიზნით უფლება მიეცეთ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს პროფკავშირულ კომიტეტებთან შეთანხმებით:

დააწესონ მუშებს შრომის დარგთაშორისი, დარგობრივი და სხვა პროგრესული ნორმატივების მიხედვით გაანგარიშებული ნორმებით და ცენტრალიზებული წესით დამტკიცებული გამსხვილებული და კომპლექსური ნორმებით მუშაობაზე გადასვლისას 20 პროცენტამდე გადიდებული სანარდო ფასდებანი გამომუშავების (დროის) ნორმების გადასინჯვის შედეგად პროდუქციის (სამუშაოთა) შრომატევადობის შემცირებით დაზოგილი ხელფასის ფონდის ხარჯზე;

გამოიყენონ დროებრივი მუშებისათვის ტექნიკურად დასაბუთებული შრომის ნორმებისა და ნორმატივების გათვალისწინებით დაწესებულ ნორმირებულ დავალებათა მიხედვით მუშაობაზე გადასვლისას 10 პროცენტამდე გადიდებული სატარიფო განაკვეთები სატარიფო განაკვეთების მიხედვით ანაზღაურების ფონდის იმ ეკონომიის ფარგლებში, რაც მიღებულია მუშათა განთავისუფლებისას;

მისცენ შრომითი დანახარჯების ნორმებისა და ნორმატივების გადასინჯვის შედეგად პროდუქციის (სამუშაოთა) შრომატევადობის შემცირებით დაზოგილი ხელფასის ფონდის ხარჯზე მუშებს, რომლებმაც გამოიჩინეს ინიციატივა მათ გადასინჯვაში, ერთდროული გასამრჯელო 6 თვემდე პერიოდისათვის მიღებული

მახ 4 ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიის მიხედვით, ხოლო ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების საფუძველზე ნორმების შეცვლისას დაუწესონ მუშებს მათ მიერ ახალი ნორმების ათვისების დროისათვის დამატებითი ანაზღაურება, მაგრამ არა უმეტეს 6 თვისა.

მიღებული ეკონომია შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე ოსტატთა, ტექნოლოგთა, შრომის ნორმირების მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ერთდროული პრემირებისათვის, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ შრომითი დანახარჯების ახალი ნორმატივების შემუშავებასა და დანერგვაში, შესაბამის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა მომზადებასა და განხორციელებაში.

11. სამინისტროებმა, უწყებებმა, გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა უზრუნველყონ შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ყველაზე ეფექტიანი კოლექტიური ფორმების, უწინარეს ყოვლისა, ბრიგადული სამეურნეო ანგარიშისა და კოლექტიური იჯარის განვითარება, ამასთან გადააქციონ ისინი მეთორმეტე ხუთწლედის დამლევისათვის შრომის ორგანიზაციის ძირითად ფორმად. ფართოდ შემოიღონ პრაქტიკაში კოლექტიური გამომუშავების განაწილება ბრიგადებში შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გათვალისწინებით.

უფლება მიეცეთ სამინისტროთა, უწყებათა, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად და შრომითი კოლექტივების მონაწილეობით გაავრცელონ მეურნეობის გაძღოლის საიჯარო პრინციპები გაერთიანებებზე, საწარმოებზე, უბნებზე, საამქროებზე, ფერმებზე, სამშენებლო ორგანიზაციებსა და სხვა ანალოგიურ ქვედანაყოფებზე.

უზრუნველყონ ბრიგადირთა დაინტერესების გაძლიერება მათდამი რწმუნებული ბრიგადების საწარმოო საქმიანობის გაუმჯობესებით, ბრიგადების გამსხვილებით და სამეურნეო ანგარიშსა და კოლექტიურ იჯარაზე მათი გადაყვანით. დაუწესონ ბრიგადირებს სართი ბრიგადის ხელმძღვანელობისათვის მუშაობის კონკრეტული მაჩვენებლების გათვალისწინებით და მისცენ იგი მხოლოდ იმ პირობით, თუ შეასრულებენ საწარმოო დავალებებს და უზრუნველყოფენ გამოსაშვები პროდუქციის (სამუშაოთა) მაღალ ხარისხს.

**ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა ხელფასის სრულყოფა**

12. საჭიროდ ჩაითვალოს გაძლიერდეს ინჟინრის შრომის საზოგადოებრივი აღიარება და პრესტიჟულობა, ამაღლდეს ოსტატთა, კონსტრუქტორთა და ტექნოლოგთა როლი და ავტორიტეტი, გადიდდეს ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა შრომის მატერიალური სტიმულირება მუშაობისადმი მათი შემოქმედებითი დამოკიდებულების უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით:

გაუდიდდეთ თანამდებობრივი სარგოები ხელმძღვანელებს, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებს საშუალოდ 30-35 პროცენტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესდეს ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა შრომის უფრო დიფერენცირებული ანაზღაურება შრომის ხარისხის, ეფექტიანობისა და მათი მუშაობის საბოლოო შედეგების შესაბამისად;

გაძლიერდეს ინჟინერთა და სხვა სპეციალისტთა დაინტერესება კვალიფიკაციის ამაღლებით, რთულ და პასუხსაგებ სამუშაოთა შესრულებით. შემოღებულ იქნეს ინჟინერთათვის საკვალიფიკაციო კატეგორიები (ინჟინერი, I და II კატეგორიის ინჟინერი, წამყვანი ინჟინერი) და შესაბამისი კატეგორიები სხვა სპეციალისტთათვის. გადიდდეს დიაპაზონი სარგოების მინიმალურ და მაქსიმალურ ოდენობებს შორის თითოეული თანამდებობისა და საკვალიფიკაციო კატეგორიის მიხედვით;

გათვალისწინებულ იქნეს უპირატესობანი თანამდებობრივი სარგოების დონის მიხედვით კონსტრუქტორების, ტექნოლოგებისა და სხვა სპეციალისტებისათვის, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავებასთან და წარმოებაში დანერგვასთან სტაბილური ნორმატივებით გამოანგარიშებული მათი ხელფასის ფონდის ფარგლებში;

უზრუნველყოფილ იქნეს ერთიანობა საწარმოო დარგების მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაში, შემოღებულ იქნეს მათთვის თანამდებობრივი სარგოების საერთო სქემა.

ნება დაერთოთ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს დაუწესონ თანამდებობრივი სარგოები ქვედანაყოფთა ხელმძღვანელებს, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებს საშტატო განრიგის საშუალო სარგოების დაუცველად და მათი რიცხოვნობის თანაფარდობის გაუთვალისწინებლად ხელფასის ფონდის ფარგლებში, რომელიც განისაზღვრება სტაბილური ნორმატივების მიხედვით ცალ-ცალკე კონსტრუქტორების, ტექნოლოგების, მეცნიერი მუშაკებისა და სხვა სპეციალისტებისა და მოსამსახურეებისათვის.

13. გაძლიერდეს მომთხოვნელობა ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა მუშაობის ხარისხისადმი და მათი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი.

ჩატარდეს სისტემატურად, სამ წელიწადში ერთხელ მაინც, საწარმოო ქვედანაყოფებისა და სამსახურების ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა ატესტაცია. ატესტაციის შედეგების მიხედვით გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა მიიღონ გადაწყვეტილებანი მუშაკთა თანამდებობის, საკლასო წოდებისა და საკვალიფიკაციო კატეგორიის მომატების (დაკლების), მათთვის თანამდებობრივი სარგოს მომატების ან დაკლების შესახებ შესაბამისი თანამდებობის მიხედვით მაქსიმალური და მინიმალური ოდენობის ფარგლებში, თანამდებობრივი სარგოების დანამატების დაწესების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ, ხოლო საჭირო შემთხვევებში — დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

ატესტაციებს შორის პერიოდში ზემოაღნიშნულ ცვლილებებს საწარმოო მაჩვენებლების გაუმჯობესების, დავალებულ სამუშაოთა მაღალი ხარისხისა და დროულად შესრულების ან მუშაობის მაჩვენებლების გაუარესების, შრო-

ბიბლიოთეკა

მისა და საწარმოო დისციპლინის დარღვევის შემთხვევებში ახდენს [illegible]ნების, საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ამასთან გადაწყვეტილებანი თანამდებობრივი სარგოს დაკლების, საკლასო წოდებისა და საკვალიფიკაციო კატეგორიის შემცირების ან დაკავებული თანამდებობიდან მუშაკის განთავისუფლების შესახებ მიიღება მხოლოდ საატესტაციო კომისიის აზრის გათვალისწინებით.

შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღებისას ჩატარდეს ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა რიგგარეშე ატესტაცია და დაუწესდეთ მათ თანამდებობრივი მოვალეობანი აღნიშნული მუშაკების თანამდებობათა საკვალიფიკაციო ცნობარის მოთხოვნების მიხედვით, აგრეთვე შეუსაბამდეს ამ მუშაკთა თანამდებობრივი დასახელებანი შესასრულებელ სამუშაოს და ამ დადგენილებით დამტკიცებულ თანამდებობრივ სარგოთა სქემებს.

14. უფლება მიეცეთ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს პროფკავშირულ კომიტეტებთან შეთანხმებით:

დაუწესონ ოსტატებს, უბნებისა და საამქროების უფროსებს, სხვა სპეციალისტებსა და მოსამსახურეებს, თუ ისინი მუდმივად არიან დასაქმებული (სამუშაო დროის არანაკლებ 50 პროცენტისა) უბნებში, საამქროებსა და წარმოებებში, სადაც მუშათა ნახევარზე მეტი იღებს სართს შრომის მავნე პირობებისათვის, ანალოგიური სართი თანამდებობრივი სარგოს 12 პროცენტამდე ოდენობით, ხოლო შრომის განსაკუთრებით მავნე პირობებში — 24 პროცენტამდე. სართის კონკრეტული ოდენობა განისაზღვრება აღნიშნულ მუშაკთა სამუშაო ადგილის ატესტაციიდან გამომდინარე შრომის პირობების მიხედვით და მოცემულ უბანში, საამქროში, წარმოებაში მუშებისათვის დაწესებული სართის ოდენობის გათვალისწინებით;

შემოიღონ ქვედანაყოფთა ხელმძღვანელების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეებისათვის დანამატები მაღალი შრომითი მიღწევებისათვის ან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულებისათვის მისი ჩატარების ვადით. გააუქმონ მაღალი კვალიფიკაციისათვის წინათ მოქმედი დანამატები. მაღალი შრომითი მიღწევებისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამუშაოების შესრულებისათვის დანამატები დააწესონ თანამდებობრივი სარგოს 50 პროცენტამდე ოდენობით შესაბამისი კატეგორიის მუშაკთა ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე და ფარგლებში. მუშაობის მაჩვენებლების გაუარესების, უწინარეს ყოვლისა, გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის შემცირების დროს დანამატები მცირდება ან მთლიანად უქმდება. მშენებლობაში დანამატები მაღალი შრომითი მიღწევებისათვის წესდება იმავე ოდენობითა და წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1985 წლის 24 იანვრის № 87 დადგენილების მე-7 პუნქტით.

15. სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა გადასინჯოს საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად ხელმძღვანელ მუშაკთა შრომის ანაზღაურების ჯგუფებისათვის გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მიკუთვნების მაჩვენებლები, ამასთან წარმართოს ისინი პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლების, მსოფლიო მიღწევების

დონეზე ან უფრო მეტი დონით მისი გამოშვების, წარმოებისა და შესასრულე-ბელ სამუშაოთა მოცულობის გადიდების, შრომის ნაყოფიერების ზრდის და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების უზრუნველსაყოფად, ამასთან ამოიღოს მაჩვენებლებიდან მუშაკთა რიცხოვნობა. ამავე დროს შეამციროს ზემოაღნიშნული ჯგუფების რაოდენობა.

დაწესდეს, რომ შრომის ანაზღაურების პირველი ჯგუფის გაერთიანებ-ების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის (მათი საწარმოო ერთეულებისა და საამქროებისათვის) დამტკიცებული მაჩვენებლების გადამეტებისას არანაკ-ლებ ორჯერ ამ დადგენილებით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგო-ები ხელმძღვანელ მუშაკებს (რომელთა სარგოები დამოკიდებულია შრომის ანაზღაურების ჯგუფებზე) გაუდიდდებათ 15 პროცენტით.

უფლება მიეცეთ მინისტრებსა და უწყებათა ხელმძღვანელებს იმ შემთხ-ვევაში, თუ გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები სისტემატურად ვერ ასრულებენ ძირითად საგეგმო დავალებებს და უშვებენ დაბალხარისხოვან პროდუქციას, დროებით გადაიყვანონ გაერთიანებათა საწარმოთა და ორგა-ნიზაციათა ხელმძღვანელი მუშაკები შრომის ანაზღაურების ერთით დაბალ ჯგუფში.

16. ნება დაერთოთ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელ-მძღვანელებს შემოიღონ პროფკავშირულ კომიტეტებთან შეთანხმებით სპეცია-ლისტებისა და მოსამსახურეებისათვის შრომის ანაზღაურების სანარდო, აკორ-დული და სხვა პროგრესული ფორმები მათი ხელფასის ფონდის ფარგლებში დადგენილი წესით დამტკიცებული შრომითი დანახარჯების ნორმების არსებო-ბის კვალობაზე.

გამოიყენონ იქ, სადაც მიზანშეწონილია, სპეციალისტთა და მოსამსახურე-თა, უწინარეს ყოვლისა, კონსტრუქტორთა და ტექნოლოგთა შრომის ეფექტია-ნობის ასამაღლებლად შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმა პირადი შრომითი წვლილის შესაბამისად კოლექტიური გამომუშავების განაწილებით.

გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა პროფ-კავშირულ კომიტეტებთან ერთად მიიღონ ზომები სპეციალისტთა და მოსამსა-ხურეთა შრომის ნორმირების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისათვის. შეიმუშა-ონ და დანერგონ ამ კატეგორიების მუშაკთა რიცხოვნობის ნორმატივები, მომ-სახურების ნორმები და შრომის სხვა ნორმატივები. გადასინჯონ გაერთიანებ-ებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში მოქმედი მართვის სტრუქტურები, ამასთან უზრუნველყონ მათი გამარტივება და შტატების შემცირება. მიაღწიონ მმართველობის აპარატის არსებითად გაიაფებას და მისი საქმიანობის ეფექტია-ნობის ამაღლებას.

## პრემიების მასტიმულირებელი როლის გაძლიერება

17. საჭიროდ ჩაითვალოს შემოღებულ იქნეს 1987 წლის 1 იანვრიდან სა-წარმოო დარგების მუშათა, ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა და მოსამსახურე-თა პრემირების ახალი სისტემა. ამასთან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

აამაღლონ პრემიების მასტიმულებელი როლი პროდუქციის მიწოდების (ტვირთის გადაზიდვის) გეგმებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, პროდუქციის (სამუშაოთა) ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის (სამუშაოთა, ტვირთის გადაზიდვის) თვითღირებულების შემცირების, ყოველგვარი მატერიალური რესურსების ეკონომიის საქმეში;

უზრუნველყონ პრემიების უშუალო კავშირი თითოეული მუშაკის და ბრიგადებისა და ქვედანაყოფთა კოლექტივების შრომითს შედეგებთან;

გადავიდნენ პრემიის დარიცხვაზე, როგორც წესი, ბრიგადის, მთლიანად სტრუქტურული ქვედანაყოფის (უბნის, საამქროს, განყოფილების) კოლექტივისათვის;

არ მისცენ პრემიები კოლექტივებსა და ცალკეულ მუშაკებს, რომლებმაც გააუარესეს გამოშვებული პროდუქციის (სამუშაოთა) ხარისხი, დაარღვიეს ტექნოლოგიური დისციპლინა, არ დაიცვეს სტანდარტები და ტექნიკური პირობები, შემოვიდა რეკლამაციები ან დაბრუნდა დაბალხარისხოვანი პროდუქცია, არ შეასრულეს მიწოდების ხელშეკრულებანი და დაუშვეს სხვა საწარმოო ხარვეზები.

18. უფლება მიეცეთ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს პროფკავშირულ კომიტეტებთან შეთანხმებით:

დამოუკიდებლად დაამტკიცონ დებულებანი სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის მუშაკთა პრემირების შესახებ შემდეგი ჯგუფების მიხედვით: მუშები, კონსტრუქტორები, ტექნოლოგები და მეცნიერი მუშაკები; ტექნიკური კონტროლის სამსახურის მუშაკები; სხვა ხელმძღვანელი მუშაკები, სპეციალისტები და მოსამსახურეები. პრემირება განახორციელონ კონკრეტული პირობებიდან და შესაბამისი ქვედანაყოფების წინაშე დასახული ამოცანებიდან გამომდინარე. ამასთან ტექნიკური კონტროლის სამსახურის მუშაკთა პრემირება შეუსაბამონ მხოლოდ პროდუქციის (სამუშაოთა) ხარისხის მაჩვენებლებს;

შექმნან მატერიალური წახალისების ერთიანი ფონდი, რომელშიც გააერთიანონ პრემირების სპეციალური სისტემების მიხედვით მთელი სახსრები, დამოუკიდებლად განსაზღვრონ სპეციალური პრემიების ოდენობა, გაცემის წესი და ვადები.

19. საჭიროდ ჩაითვალოს ბრიგადების კოლექტივებისა და ცალკეული მუშების პრემირება, უწინარეს ყოვლისა, უბნებისა და საამქროების გეგმებიდან გამომდინარე დაწესებულ საწარმოო (ნორმირებულ) დავალებათა შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის (სამუშაოთა) ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ათვისებისათვის, ყოველგვარი რესურსების დაზოგვისათვის.

დაწესდეს, რომ ოდენობა პრემიებისა, რომლებიც მიეცემათ ხელფასის ფონდიდან მუშებსა და ბრიგადების კოლექტივებს, არ შეიძლება აღემატებო-

დეს თვეზე გაანგარიშებით მათი სანარდო გამომუშავების (სატარიფო განაკვეთის) 40 პროცენტს. ბრიგადების წევრთა პრემიები საერთო დარიცხული თანხის ფარგლებში განისაზღვრება დიფერენცირებულად, მუშაობის საერთო შედეგებში პირადი წვლილის შესაბამისად, და მაქსიმალური ოდენობით არ იზღუდება.

შენარჩუნებულ იქნეს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებით დაწესებული პრემიების უფრო მაღალი მაქსიმალური ოდენობა ცალკეული პროფესიებისა და დარგების მუშებისათვის.

მატერიალური წახალისების ერთიანი ფონდიდან მუშებისა და ბრიგადების კოლექტივებისათვის განკუთვნილი პრემიები მაქსიმალური ოდენობით არ იზღუდება.

20. გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა პროფკავშირულ კომიტეტებთან ერთად უზრუნველყონ სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელ მუშაკთა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა პრემირებისას მათი დაინტერესების გაძლიერება მუშაობის მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევით, საწარმოო პოტენციალის უფრო ინტენსიური გამოყენებით, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის დაჩქარებით, შრომის ნაყოფიერების ზრდით, მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებით, თვითღირებულების შემცირებითა და წარმოების რიტმულობის დაცვით.

საწარმოო ქვედანაყოფების სპეციალისტთა და მოსამსახურეთა კოლექტივების პრემირება განხორციელდეს მათ წინაშე დასახული კონკრეტული ამოცანებიდან გამომდინარე იმ მაჩვენებლების მიხედვით, რომლებსაც განსაზღვრავს გაერთიანების, საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელი პროფკავშირულ კომიტეტთან შეთანხმებით. ფუნქციონალურ ქვედანაყოფთა კოლექტივების პრემირების მაჩვენებლები მჭიდროდ დაუკავშირდეს მთლიანად გაერთიანების, საწარმოს, ორგანიზაციის სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგებს.

21. გაძლიერდეს პრემიების როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით კონსტრუქტორთა, ტექნოლოგთა და მეცნიერ მუშაკთა სტიმულირების საქმეში.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს განხორციელდეს ამ მუშაკთა პრემირება, უწინარეს ყოვლისა, მსოფლიო მიღწევების შესაბამისი ან მათზე უკეთესი ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიებისა და მასალების შემუშავებისა და დანერგვისათვის, გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და საიმედოობის ამაღლებისათვის.

22. დაწესდეს გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელი მუშაკების (ხელმძღვანელის, მისი მოადგილეების, მთავარი ინჟინრის, მთავარი ეკონომისტის, მთავარი ბუღალტრის, საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსის) პრემიების შემდეგი მაქსიმალური ოდენობანი:

მრეწველობაში: ხელშეკრულებათა მიხედვით პროდუქციის რეალიზაციის (მათ შორის საექსპორტოდ) მოცულობისა და წარმოების ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების 100-პროცენტიანი შესრულებისათვის — თანამდებობრივი სარგოს 0,75 თვეზე გაანგარიშებით. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების დაწესებულ დავალებათა, პროდუქციის ექსპორტის, საწარმოო სიმძლავრეებისა და მშენებლობის ობიექტების ამოქმედების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გაწევის საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის და პრემირების სხვა სპეციალური სისტემების მიხედვით — თვიური სარგოს 2,6 წელიწადში;

მშენებლობაში: საწარმოო სიმძლავრეებისა და მშენებლობის ობიექტების დროულად და ხარისხიანად ამოქმედების და სამეურნეო საქმიანობის სხვა ძირითადი შედეგებისათვის — თანამდებობრივი სარგოს 0,75 თვეზე გაანგარიშებით, მათ შორის ამ თანხის 65 პროცენტი მშენებლობის ობიექტებისა და სიმძლავრეების ამოქმედებისათვის. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გაწევის დაწესებულ დავალებათა შესრულებისათვის და პრემირების სხვა სპეციალური სისტემების მიხედვით — თვიური თანამდებობრივი სარგოს 2,6 წელიწადში;

რკინიგზის ტრანსპორტზე: დაწესებული ნომენკლატურის შესაბამისად ტვირთის გადაზიდვის მოცულობის გეგმისა და ტვირთის გადაზიდვის ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი საგეგმო მაჩვენებლების შესრულებისათვის — თანამდებობრივი სარგოს 0,75 თვეზე გაანგარიშებით. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, საწარმოო სიმძლავრეებისა და მშენებლობის ობიექტების ამოქმედების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გაწევის დაწესებულ დავალებათა შესრულებისათვის და პრემირების სხვა სპეციალური სისტემების მიხედვით — თვიური თანამდებობრივი სარგოს 2,6 წელიწადში;

სოფლის მეურნეობაში: შენარჩუნებულ იქნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1970 წლის 2 აპრილის № 227 დადგენილებითა და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 20 მარტის № 358 დადგენილებით გათვალისწინებული პრემირების მაჩვენებლები და ოდენობანი.

შენარჩუნებულ იქნეს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებით დაწესებული პრემიების უფრო მაღალი მაქსიმალური ოდენობანი სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგების გამო ცალკეული დარგების მუშაკებისათვის.

სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის ხელმძღვანელ მუშაკთა პრემირება განხორციელდეს თვეების ან კვარტალების მიხედვით, ხოლო პრემირების სპეციალური სისტემებით — კვარტალების ან ნახევარი წლის მიხედვით. აღნიშნულ მუშაკთა პრემირების კონკრეტულ მაჩვენებლებს, ოდენობასა და ვადებს აწესებენ ყოველწლიურად სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროები და უწყებები შესაბამის პროფკავშირულ

ორგანოებთან შეთანხმებით, დარგების წინაშე დასახული ამოცანებიდან გამომდინარე. ამასთან ხელშეკრულებათა მიხედვით პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის შესრულებისათვის მრეწველობის გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა პრემიები წესდება სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის პრემიების საერთო თანხის არანაკლებ 50 პროცენტის ოდენობით.

კოლექტივებისათვის ან ცალკეული სპეციალისტებისა და მოსამსახურეებისათვის სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგების, აგრეთვე პრემირების სპეციალური სისტემების მიხედვით პრემიებს ზემოაღნიშნული მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში აწესებს გაერთიანების, საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი პროფკავშირულ კომიტეტთან შეთანხმებით. მთლიანად მუშაკთა კოლექტივისათვის საპრემიო თანხის დარიცხვისას კონკრეტულ სპეციალისტებსა და მოსამსახურეებს პრემიები განესაზღვრებათ მუშაობის საერთო შედეგებში მათი პირადი წვლილის შესაბამისად და მაქსიმალური ოდენობით არ იზღუდება.

პრემიების ზღვრული ოდენობის დაცვისათვის პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისროთ მინისტრებს, უწყებათა, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს და მთავარ ბუღალტრებს.

23. დაწესდეს, რომ ხელშეკრულებათა მიხედვით პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის შესრულებისათვის მრეწველობის გაერთიანებათა და საწარმოთა ხელმძღვანელ მუშაკებს პრემია მიეცემათ მხოლოდ მისი 100-პროცენტიანი შესრულებისას. ხელშეკრულებათა მიხედვით პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის შეუსრულებლობისას სხვა ძირითადი მაჩვენებლებისათვის დარიცხული პრემიების 50 პროცენტი რჩება რეზერვში და გაიცემა იმ პირობით, თუ პროდუქციის უკმარმიწოდება შეივსება მიმდინარე წლის ბოლომდე.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებმა და უწყებებმა შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად გაითვალისწინონ სხვა საწარმოო დარგებში სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის პრემიების გაცემის ანალოგიური წესი.

24. დაწესდეს, რომ გაერთიანების, საწარმოს, ორგანიზაციის, საამქროს, უბნის ან სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფის მიხედვით ხელფასის ფონდის გადახარჯვისას სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის შესაბამის ხელმძღვანელ მუშაკთა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა, აგრეთვე კონსტრუქტორთა, ტექნოლოგთა და მეცნიერ მუშაკთა პრემიები რჩება რეზერვში ფონდის დაშვებული გადახარჯვის თანხის ოდენობით. თუ კალენდარული წლის მომდევნო პერიოდებში შეივსება ხელფასის ფონდის გადახარჯვა რეზერვში დატოვებული პრემიების თანხა გაიცემა სრული ოდენობით.

25. საკავშირო და რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით პრემიები მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა საწარმოო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარგების გაერთიანების, საწარმოს, ორგანიზაციის ერთი ხელმძღვანელი მუშაკისათვის გაიცემა ამ დადგენილების 22-ე პუნქტით გათვალისწინებული პრემიების მაქსიმალური ოდენობის გადამეტებით, მაგრამ არ შეიძლება აღემატებოდეს თვიური თანამდებობრივი სარგოს 1,4-ს წელიწადში.

პრემიების დაწესებული მაქსიმალური ოდენობით გადამეტებით გაიცემა ლენინური პრემიები, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო პრემიები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიები, სხვა ერთდროული პრემიები, რომლებიც წესდება და გაიცემა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვით, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა პრემიები.

## ახალი სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების შემოღების წესი

26. სამინისტროთა და უწყებათა, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა, პარტიულმა, საბჭოთა და პროფკავშირულმა ორგანოებმა გაითვალისწინონ, რომ ხელფასის ორგანიზაციის სრულყოფა და შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღება ხორციელდება ეკონომიკის ძირეული გარდაქმნის, მეურნეობის გაძღოლისა და თვითდაფინანსების ახალ მეთოდებზე საწარმოთა გადაყვანის პერიოდში, როცა შრომის ანაზღაურების გადიდებისათვის სახსრები უნდა გამოიმუშაონ თვით შრომითმა კოლექტივებმა.

სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების გადიდებას მოახმარონ მთელი დაზოგილი ხელფასის ფონდი, მათ შორის პერსონალის რიცხოვნობის შემცირების, ხელფასის სტრუქტურის სრულყოფის, გამომუშავების ნორმებისა და შრომითი დანახარჯების სხვა ნორმების გადასინჯვის, საპრემიო გადასახდელების, დანამატებისა და სართის ნორმების გადასინჯვის ხარჯზე დაზოგილი ფონდი. გარდა ამისა, ცალკეულ შემთხვევებში, შრომითი კოლექტივების თანხმობით, შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადაყვანის წელს ამ მიზნებს შეიძლება მოხმარდეს მატერიალური წახალისების სახსრების ნაწილი. მომდევნო წლებში მატერიალური წახალისების საბაზო ფონდი მცირდება იმ თანხით, რაც გადაყვანის წელს გამოყენებულია ზემოაღნიშნული მიზნებისათვის, და შესაბამისად დიდდება ხელფასის საბაზო ფონდი.

27. დაწესდეს, რომ მმართველობის ზედმეტი რგოლების ლიკვიდაციის, საწარმოთა, ორგანიზაციათა და მათ სტრუქტურულ ქვედანაყოფთა გამსხვილების, აგრეთვე მმართველობის აპარატის მუშაკთა რიცხოვნობის შემცირებისათვის სხვა ღონისძიებათა განხორციელების შედეგად სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ დაზოგილი ხელფასის ფონდი არ ჩამოერთმევათ და შეიძლება მოხმარდეს სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების გადიდებას ამ დადგენილების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

28. საჭიროდ ჩაითვალოს შეიქმნას სამინისტროებში, უწყებებში, გაერთიანებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადაყვანის კომისიები. პასუხისმგებლობა ხელფასის ორგანიზაციის სრულყოფისა და შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღებისათვის დაეკისროთ პირადად მინისტრებს, უწყებათა, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს.

გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ფართო საჯაროობის ვითარებაში განახორციელონ საჭირო მოსამზადებელი მუშაობა შინაგანი რეზერვების მობილიზაციისათვის, შეიმუშაონ შრომითი კოლექტივების მონაწილეობით შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადაყვანის გრაფიკები. ახალ განაკვეთებსა და სარგოებზე გადასვლა შეიძლება განხორციელდეს ერთდროულად მთლიანად გაერთიანების საწარმოს, ორგანიზაციის მიხედვით, ან ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფების მიხედვით, აგრეთვე მუშაკთა კატეგორიებისა და პროფესიების მიხედვით საჭირო სახსრების დაგროვების კვალობაზე. ყველა შემთხვევაში ახალი თანამდებობრივი სარგოები მმართველობის აპარატის ხელმძღვანელი და სხვა მუშაკებისათვის გაერთიანებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებში შემოღებულ იქნება სხვა მუშაკთა სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების გადიდების შემდეგ.

გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ შემუშავებული შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადაყვანის გრაფიკები საჭირო გაანგარიშებებთან, დასაბუთებებთან და მუშაკთა გასათავისუფლებელი რაოდენობის ამსახველ მონაცემებთან ერთად წარედგინებათ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს.

სამინისტროებმა და უწყებებმა პროფკავშირულ ორგანოებთან შეთანხმებით ნება დართონ საქვეუწყებო გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს შემოიღონ შრომის ანაზღაურების ახალი პირობები ამ ღონისძიების განსახორციელებლად მზადყოფნის ყოველმხრივი შემოწმების შემდეგ. შეიმუშაონ მთლიანად დარგის მიხედვით შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღების გრაფიკები, გაუწიონ გაერთიანებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს პრაქტიკული დახმარება, დააწესონ მუდმივი კონტროლი ამ ღონისძიების განხორციელებისადმი.

ახალი სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების შემოღების პერიოდში გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ხელფასის ფონდის გადახარჯვის თავიდან ასაცილებლად, უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების ზრდის წინმსწრები ტემპი საშუალო ხელფასის ზრდის ტემპთან შედარებით.

29. სამინისტროებმა, უწყებებმა, გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა გამოიჩინონ ყოველმხრივი ზრუნვა განთავისუფლებულ მუშაკთა ხელახალი სწავლებისა და შრომითი მოწყობისათვის. უზრუნველყონ, უწინარეს ყოვლისა, ამ მუშაკთა გადანაწილება საწარმოების შიგნით მეორე და მესამე ცვლებში მუშაობის ორგანიზაციისათვის, წარმოების რეკონსტრუქციისა

და გაფართოების განსახორციელებლად. მიიღონ ზომები გადაყვანისა და მათი შინაარსობრივი გადანაწილებისათვის ახალსამოქმედებელი საწარმოებისა და ობიექტების კადრებით დასაკომპლექტებლად.

უფლება მიეცეთ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს შეუნარჩუნონ განთავისუფლებულ მუშაკებს უკანასკნელ სამუშაო ადგილზე საშუალო ხელფასი წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დროს და დამატებით გადაუხადონ სხვაობა საშუალო გამომუშავებამდე მუშებს, რომლებიც გადიან გადამზადებას წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, სწავლების მთელი პერიოდისათვის. სასწავლებლად მუშაკები იგზავნებიან მათი თანხმობით ახალ სამუშაო ადგილზე შრომითი ხელშეკრულების დადების შემდეგ.

დაევალოთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებით გაერთიანებებიდან, საწარმოებიდან, ორგანიზაციებიდან განთავისუფლებულ მუშაკთა შრომითი მოწყობა, ამავე დროს დააკისრონ აღნიშნული სამუშაო შრომის ორგანოებს. ამასთან დაკავშირებით შექმნან მოსახლეობის შრომითი მოწყობის სამეურნეოანგარიშიანი ბიუროები იმ ადგილებში, სადაც ისინი შექმნილი არაა ამჟამად, გააუმჯობესონ მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

30. იმ შემთხვევებში, როცა ამ დადგენილების შესაბამისად მუშაკებისათვის შემოღებული განაკვეთები და სარგოები კოეფიციენტების, დანამატებისა და შეღავათების გათვალისწინებით უფრო ნაკლები აღმოჩნდება მოქმედ განაკვეთებთან და სარგოებთან შედარებით კოეფიციენტების, დანამატებისა და შეღავათების გათვალისწინებით, ამ მუშაკებს მოცემულ გაერთიანებაში, საწარმოში, ორგანიზაციაშია იმავე ან უფრო მაღალ თანამდებობაზე მუშაობის დროისათვის მიეცემათ ხელფასის სათანადო სხვაობა (შეღავათების გათვალისწინებით).

31. სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ ყოველწლიურად წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოხსენებანი ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ.

32. დაევალოთ სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს და საკავშირო პროფსაბჭოს:

დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაონ და დაამტკიცონ ნორმატიული აქტები თანდართული ნუსხის თანახმად;

განახორციელონ სამინისტროებთან და უწყებებთან, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შრომით კოლექტივებთან საჭირო ორგანიზატორული და მეთოდიკური მუშაობა შრომის ანაზღაურების სრულყოფასთან და ახალი განაკვეთებისა და სარგოების შემოღებასთან დაკავშირებულ ღონისძი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებათა რეალიზაციისათვის. მისცენ საჭირო შემთხვევებში სამინისტროებს და უწყებებს ამ დადგენილების გამოყენებასთან დაკავშირებული განმარტებანი.

33. სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად სამი თვის ვადაში წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მოქმედ კანონმდებლობაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ.

*

* *

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო პროფსაბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივები ზუსტად და ორგანიზებულად მაღალ პოლიტიკურ დონეზე განახორციელებენ ხელფასის სრულყოფის, შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღების ღონისძიებებს და უზრუნველყოფენ ამის საფუძველზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, მშრომელთა შრომითი და შემოქმედებითი აქტიურობის ყოველმხრივ განვითარებას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თაობაზე სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის.

| სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე | საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე |
|---|---|---|
| **მ. გორბაჩოვი** | **ნ. რიჟკოვი** | **ს. შალაევი** |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

### 5 ვენახის სეტყვასაწინააღმდეგო გადახურვის სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს „საქვენახდაცვის" საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ

რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში ვენახის სეტყვის საწინააღმდეგო გადახურვის სამუშაოთა გაფართოებისა და შემდგომი სრულყოფის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ვენახის სეტყვასაწინააღმდეგო გადახურვის სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო „საქვენახდაცვა" საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს დაქვემდებარებიდან გადაეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის დაქვემდებარებაში.

2. სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს „საქვენახდაცვის" გადაცემა მოხდეს 1987 წლის 1 იანვრისათვის არსებულ სამუშაოთა მოცულობით, მატერიალურ-ტექნიკური ფონდებით, შრომის გეგმით, მმართველობის აპარატის რიცხოვნობით, ხელფასის ფონდითა და ზღვრული ასიგნებებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 15 იანვარი, № 6

### 6 „დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის შეღავათების მიცემის შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 8 იანვრის № 24 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ „დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის შეღავათების მიცემის შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 8 იანვრის № 24 დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატთან ერთად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს საქართველოს სსრ სამინისტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როებმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანოებმა.

დადგენილების შესაბამისად დროულად განხორციელდა ღონისძიებანი კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათების გასაცემად. პენსიები გაუდიდდათ სამამულო ომის, ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა I და II ჯგუფის ყველა ინვალიდს, აგრეთვე დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს. მიღებულ იქნა ზომები ომის ვეტერანების, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საშეფო ორგანიზაციებმა დიდი სამამულო ომის ინვალიდებსა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებს დახმარების სახით მისცეს 252875 მანეთი, 75384 კილოგრამი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი უფასოდ. 6517 სამამულო ომის ინვალიდსა და ომში დაღუპულ მებრძოლთა 4455 ოჯახს დაუმუშავდათ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები. გარდა ამისა, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა ბიუჯეტის ჭარბი შემოსავლიდან სამამულო ომის ინვალიდებსა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებს დახმარების მიზნით გამოუყვეს 119000 მანეთზე მეტი.

1985 წლის იანვრიდან დღემდე საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თაოსნობით სამედიცინო შემოწმება გაიარა 6076 სამამულო ომის ინვალიდმა, სტაციონარში სამკურნალოდ გაიგზავნა — 2824, 1985 წელს სამამულო ომის ინვალიდებს უფასოდ მიეცათ 10047, ხოლო 1986 წლის 10 თვეში — 8657 საგზური, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე კი — 5 ათას მანეთზე მეტი ღირებულების სამკურნალო პრეპარატები.

1985 წელს სამამულო ომის ინვალიდებს გაეწიათ 101459 მანეთი ღირებულების საპროთეზო-ორთოპედიული მომსახურება, ხოლო 1986 წლის 10 თვეში — 58452 მანეთისა.

1985 წელს მათ უფასოდ მიეცათ 672, ხოლო 1986 წელს 705 ავტომობილი „ზაპოროჟეცი".

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საბჭოთა ორგანოების აქტიური დახმარებით საბინაო პირობები გაუუმჯობესდათ 962 დიდი სამამულო ომის ინვალიდს, ომში დაღუპულ მეომართა 60 ოჯახსა და 588 ომის მონაწილეს.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ ურიგოდ ბინაზე ტელეფონი დაუდგა 1019 ომის ინვალიდსა და 772 მონაწილეს.

გარკვეული მუშაობა ტარდება სამამულო ომის ვეტერანთა შრომაში ჩასაბმელად, ინვალიდთა, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეების ოჯახების წევრ-მარტოხელა შრომისუუნარო მოქალაქეთა აღსარიცხავად და მათი სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად.

28168 სამამულო ომის ინვალიდიდან საზოგადოებრივ შრომაში ჩაბმულია 8666 კაცი (31 პროცენტი).

ამასთან, ჯერ კიდევ გარკვეული ნაკლოვანებანი ახლავს საქმიანობას დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, რაც

განპირობებულია ზოგიერთი საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკის უსულგულო დამოკიდებულებით ომის ინვალიდთა, ომის მონაწილეთა და დაღუპულ მეომართა ოჯახების მოთხოვნილებებისადმი.

მაგალითად, აღრიცხვაზე მყოფი 28168 სამამულო ომის ინვალიდიდან ყოველწლიურად სანატორიუმის საგზურით კმაყოფილდება 9 ათასი კაცი, ანუ მხოლოდ ყოველი მესამე.

სოციალური უზრუნველყოფის ზოგიერთ განყოფილებაში არ არის ჩამოყალიბებული საგზურების განაწილებისა და გაცემის სისტემა, რის შედეგადაც სამამულო ომის ინვალიდებისათვის გათვალისწინებულ საგზურებს ზოგჯერ სხვა პირებს აძლევენ, ცალკეულ შემთხვევებში კი აუქმებენ. ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა ბოგდანოვკის, რუსთავის, ახალქალაქის, ბორჯომის, თერჯოლის, აბაშის, თბილისის საბურთალოს, ლაგოდეხისა და სხვა ქალაქებისა და რაიონების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებში.

სერიოზული ნაკლოვანებანი ახლავს სამამულო ომის ინვალიდთა ავტომობილებით დაკმაყოფილების საქმეს. ამჟამად რესპუბლიკაში უფასოდ, ფასთა სხვაობითა და შეღავათიანი ფასით ავტომობილების მიღების აღრიცხვაზე დგას 822 ომის ინვალიდი, აქედან წელიწადნახევარზე მეტი ხანია რიგში დგას 200-ზე მეტი კაცი.

არადამაკმაყოფილებელია სამამულო ომის ინვალიდთა სავაჭრო მომსახურება აფხაზეთის ასსრ-ში, ქ. ფოთში, ქ. ზუგდიდში, გარდაბნის, ვანის, ლანჩხუთის, ბორჯომის, ქარელის, ხობის, ადიგენის რაიონებში. ცალკეულ შემთხვევებში აქ მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებენ სამამულო ომის ინვალიდთა მოთხოვნებს სასურსათო, აგრეთვე მაღალი მოთხოვნილების სამრეწველო საქონელზე.

არასახარბიელოა სამამულო ომის ინვალიდთა და ომის მონაწილეთა ტელეფონით უზრუნველყოფის მდგომარეობა. სულ რესპუბლიკაში ტელეფონის დადგმის აღრიცხვაზეა 1774 ომის ინვალიდი და 1859 ომის მონაწილე.

მთელ რიგ რაიონებსა და ქალაქებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სამამულო ომის ინვალიდთა საბინაო პირობების გაუმჯობესებას, ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის კრედიტისა და საშენი მასალის გამოყოფას. ამჟამად რესპუბლიკაში ბინის მიღების აღრიცხვაზეა 1232 სამამულო ომის ინვალიდი, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა 981 ოჯახი, 1997 ომის მონაწილე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი „დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის შეღავათების მიცემის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 8 იანვრის № 24 დადგენილების შესასრულებლად, ომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტერანების, ომში დაღუპულთა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

ამ მიზნით:

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა:

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ დიდი სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ კანონმდებლობის შესრულების მიმდინარეობას. კანონმდებლობის შესრულებაში ფართოდ ჩააბან საბჭოების დეპუტატები, ომის ვეტერანები;

— მტკიცე კონტროლი დააწესონ დიდი სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის კანონით დაწესებული შეღავათებისა და უპირატესობათა სრულად განხორციელებისადმი, მკაცრი პასუხი მოსთხოვონ იმ მუშაკებს, განსაკუთრებით საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რომლებიც ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ დიდი სამამულო ომის მონაწილეების, ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების კანონიერ მოთხოვნათა შესრულებას;

— სისტემატურად შეისწავლონ დიდი სამამულო ომის მონაწილეთა, ინვალიდთა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები, ფართოდ დანერგონ ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებისადმი საწარმო-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შეფობა და სათანადო კონტროლი დააწესონ მათი საქმიანობისადმი;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარებას ომის ინვალიდთა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანისა და ბინით დაკმაყოფილების, აგრეთვე მათთვის ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის განკუთვნილი სამშენებლო მასალების განაწილების საქმეში;

შეიმუშაონ და დაამტკიცონ სამამულო ომის ინვალიდთა ბინებით დაკმაყოფილების კონკრეტული გეგმები და განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი მათს შესასრულებლად;

— იზრუნონ ომის ინვალიდთა მიღების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით 3 თვის ვადაში დამატებით გამოუყონ ფართობი სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს მოსაცდელი ოთახებისათვის, დადგან მოსაცდელებში ავეჯი, ტელევიზორი, ტელეფონი, სტენდები ომის ინვალიდებისათვის გამოყოფილი ავტომობილების, ავეჯისა და საგზურების რიგითობის სიების, სხვა განმარტებითი მასალების გამოსაკრავად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს (ამხ. გარდაფხაძე):

— დაეხმაროს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივ ორგანოებს ომის ინვალიდთა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის დაწესებული შეღავათებისა და უპირატესობათა განხორციელებაში, პერიოდულად განიხილოს ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის შედეგები

მუხ. 6 ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკეული ქალაქებისა და რაიონების მიხედვით და მიიღოს მტკიცე გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

— განუხრელად გაატაროს საპენსიო კანონმდებლობა. მიაღწიოს უშეცდომოდ მუშაობას პენსიებისა და დახმარებათა დანიშვნისას, უზრუნველყოს მათი დროულად და შეუფერხებლად გაცემა, მიიღოს ზომები სამამულო ომის ინვალიდთა დასაკმაყოფილებლად უფასო სატრანსპორტო საშუალებებით, ომის ინვალიდთა და მონაწილეთა საკურორტო-სანატორიული მომსახურების გასაუმჯობესებლად და გასაფართოებლად.

3. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ (ამხ. მენაღარიშვილი) განახორციელოს ღონისძიებანი სამამულო ომის ინვალიდთა და მონაწილეთა სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად, მათს უზრუნველსაყოფად საკმაო რაოდენობის საავადმყოფო საწოლებითა და მედიკამენტებით.

4. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ (ამხ. მოვსესიანი) და ცეკავშირის გამგეობამ (ამხ. შავიშვილი) მიიღონ მტკიცე ზომები დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და ინვალიდთა სპეციალიზებული მაღაზიების უკეთ მოსამარაგებლად სასურსათო პროდუქტებითა და მაღალხარისხოვანი სამრეწველო საქონლით, კონტროლის გასაძლიერებლად ამ მაღაზიების მუშაობისადმი, ფართოდ დანერგონ პირველი ჯგუფის ინვალიდთა ბინაზე მომსახურება ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

5. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ (ამხ. სალია) განახორციელოს ღონისძიებანი სამამულო ომის მარტოხელა ინვალიდთა საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ადგილობრივი კურორტების სამმართველომ (ამხ. ღუღუნიშვილი), რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქკოლმჯანმრთელობამ“ (ამხ. სანიკიძე) სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე მიმდინარე წლის თებერვლის დამლევამდე გამოუყონ სამამულო ომის ინვალიდებსა და მონაწილეებს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სანატორიუმებისა და პანსიონატების 1987 წლის (უპირატესად ზაფხულ-შემოდგომის პერიოდის) საგზურები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1987 წ. 20 იანვარი, № 19

## 7 საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სასწავლო საწარმოების საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ

იმ მიზნით, რომ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო განთავისუფლდეს მისი საქმიანობის პროფილისათვის შეუსაბამო სამრეწველო წარმოებისაგან და სამინისტროს ძირითადი ღონისძიებანი მოხმარდეს მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების მთავარი ამოცანების გადაწყვეტას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს წინადადება, შეთანხმებული საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, და გადაეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სასწავლო საწარმოები ქალაქ თბილისში, ქუთაისში, სოხუმსა და ბათუმში.

გადაცემა მოხდეს 1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დადგენილი წესით ბალანსიდან ბალანსზე სამრეწველო წარმოების ყველა საგეგმო მაჩვენებლითურთ.

2. საქართველოს სსრ სოციალისტური უზრუნველყოფის სამინისტროს ქუთაისის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მშენებლობის დამთავრებამდე, რომელიც გათვალისწინებულია ინვალიდთა სასწავლებლად და გადასამზადებლად, შეუნარჩუნდეს ზემოაღნიშნულ სამინისტროს ინვალიდთა სწავლების ფუნქციები საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსათვის გადაცემული სასწავლო საწარმოების ბაზაზე.

ქუთაისის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ გადასცეს აღნიშნული სასწავლებელი და ინვალიდთა სწავლების ფუნქციები საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ შესაბამისი ცვლილებანი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმასა და საქართველოს სსრ 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1987 წ. 9 თებერვალი, № 39

ინდექსი—76187

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 1, 1987 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/IV-87 წ. ქაღალდის ზომა 70×108$^{1}/_{16}$.
საბეჭდი თაბახი 2,5, სააღრიცხვო თაბახი 2,5.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა 414 უე 10698 ტირაჟი 1900

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა